

# სასოფლო გაზეთი



გაზეთის ფასი:

გაზეთით ტფილისში	ბათუმადგენით:
გარეშე ადგილებში:	მან.
რთის წლისა — 4 მან.	— 3
ანგერის წლისა — 3 —	— 2
ამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

## გეოგრაფიული

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაძის სახლში, პოლიციის გვერდით. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ „СѢЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, ПРИ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К-О.

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

№ 23. შაბათი.

II.

6 დეკემბერს 1869 წ.

### შინაარსი:

— შინაური ცნობები. — რუსეთის ამბები. — რუსეთის ბუნება. — საექიმო ნაწილი: — სახალი, იმის განხილვის მიზეზი და იმისი წამლობა. — სოფიანობა. — ამერიკული ცნობანი. — რუსული ჯიშის საქონელი. — ახალი მოგონებული ხერხი ხეების ასახსნადათ. — უცხო ქვეყნის ამბები. — ძველ-რობითი განცხადებანი. — საბიბლიოგრაფია.

### შინაური ცნობები.

სახუმელი მოამბე გაზ. „ქავკასია“  
 ანუ გეოგრაფიკული ცნობები ვერ იწერება აფხაზეთის მოსაველზე. წელს იქ სიმინდი, რომელიც აფხაზეთის სარჩოს შეადგენს, იმის ახვევარად არ მოსულა უწვიმობის გამო, რაც წინეთ მოდიოდა. შარშან ოცი თასი ფუთი მარტო კაკალი გაუგზავნიათ ერჩში და მდესანში; წელს კი ის სულ მიხმარა ზედ ხეზე. ამას რომ დაუმატოთ სახლის ჭირი, რომელიც, მოამბის სიტყვით, გლეხისში დაერივა იქაურ საქონელსა და ქამდინ უმოწყალოთ ჰსწყვეტს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ამ ზამთარში აფხაზეთის ცხოვრება სასიხარულოდ იქნება. ღვინის მოსაველს კი, არ უჩიან თურმე აფხაზეთი.

შორე მოამბეს იმავე გაზეთისას მოჰყავს შემდეგი საინტერესო ციფრები ქ. შემახის სასწავლებლებზე და მოსწავლეებზე: „შარშან-დელი გამოანგარიშებით, შემახიაში ითვლება ადგა სამი ათასზე მეტი სული მცხოვრები და ოცდა ხუთმეტი სხვა და სხვა სასწავლებ-

ლები: ერთი უეზდის სასწავლებელი, ერთი-რუსის შკოლა, ერთი-სომხის, ერთი სალოთრანგო და ოცდა თერთმეტი მუსულმანებისა. მასწავლებელთ რიცხვი ამ შკოლებში — ორმოცდა ექვსია; ესე იგი ყოველს ას სულზე შემახიაში საშუალო რიცხვით სამი სწავლობს და თითო მასწავლებელი თერამეტს შაგირდს ასწავლის. რუსეთში ერთი ან ორი. რაც შეეხება ქალების განათლებას, კორრესპონდენტი ამბობს, რომ მთელს შემახიაში მარტო ერთი ლოთრანგების ქალების სასწავლებელია; მუსულმანებს თავიანთი ქალები არ შეჰყავთ სასწავლებელში; ისინი შინ ასწავლიან იმათ მარტო კითხვას შორანით; წერის სწავლების კი ემინიანთ: რომ გაიზარდებიან, ვინცის, იქნება ცუდათ მოიხმარონ ეს სწავლა, უცხო პირთან საიდუმლო მიწერ-მოწერას გამართვენო.

ქავკასიის უეზდის (ზანჯის გუბ.) ზოგიერთ სოფელში, როგორც იწერებიან — ექვსას ათი პირუტყვი გამხდარა ჭირირ ავათა და ამ რიცხვში ხუთს ორმოცდა ექვსი მომკედარა, ასე რომ ზოგან მესამედი საქონელი დახოცილა. ქვიშებისთვის მცხოვრებლებს გვიან უცნობებით და ამიტომ ჭირი სეკტემბრიდან თითქმის ნოემბრის შუამდი არ მოსპობილა. ახლა კი, ექიმების საშუალებით, ზოგან სულ მოუსპიათ ჭირი და ზოგან მალე მოიხსობაო.

### რუსეთის ამბები.

ტუბანის უწყებებში მისკიდგან იწერებიან:

ამ წელს აქაურმა მეოჯახებმა გულს მოდგინებით დაიწყეს ვენახის მუშაობა და ღვინის დაყენება. თუ ასე მიჰყვეს ხელი ვენახის კეთებას, უქველათ შემდეგ წლებში აქაც ისეთი კაი ღვინო დადგებაო, როგორც სხვა რუსეთის ადგილებში, მაგალითად შირიმში, ღვინის ყაზახების მიწაზე და სტავროპოლის გუბერნიაში; გამოცდილი ღვინის მკოდნები გვარწმუნებენო, რომ მისკის ღვინო დონურ ღვინოსაც სჯობს და სტავროპოლის ღვინოსაც. აქ სხვა და სხვა გვარი ღვინოა. საუკეთესო ვენახები და ბაღები აქეთ აქაურ მებატონეებს სვეტლიჩნის, მორდავეცეს, ადამენკოს, ბოვეს, მაკაროვს და სხვ.

გაზეთი „ახალი დროება“ გვარწმუნებს, რომ საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად აზრობენ, თუ როგორ გამართონ იმისთანა საერო შკოლები რუსეთში, როგორც პრუსსიაშია, სადაც ასწავლიან წერა-კითხვას და განსაკუთრებით ყოველგვარ ხელობას.

რიბინსკიდან იწერებიან „ბირჟის უწყებებში“, რომ ამ უეზდის ორ სოფელში: ძოპრინოში და პილკინოში უფ. მერესჩაგინი, (რომლის მეყველეებთ საზოგადოებაზე ერთ დროს იყო „სასოფლო გაზეთში“ მოლაპარაკება), აპირებო ახალი მეყველეებთ არტელის გაწყობას, რაც ყველ — სამხად ქარხანას ხარჯი დასჭირდება ორ გლეხს აულიათ თავის თავზე. მერესჩაგინის ანგარიშით, ეს ქარხანა ოთხი წლის განმავლობაში გამოისყიდის თავის და-



ნახარჯსა და შემდეგ ის შეიქნება სოფლების საკუთრებათ.

შირიშში არის კომიტეტი, რომელიც ურიგებს მეოჯახეებს გოგირდსა ნაცრით ავთომყოფი ვაზების საწამლავათ. ეს კომიტეტი აცხადებს ახლა, რომ შირიშში წელს ძალიან მოხდენია ვაზებს ძირში გოგირდის მოყრა; ასე რომ, ვინც იხმარა ეს საშუალება, ყველას მომატებული და უკეთესი ღვინოც მოსვლია. შენიშნულია კიდევ, რომ გოგირდი იმას გარდა, რომ ნაცრისაგან ათავისუფლებს ყურძენს, ვაზის ზრდასაც ეხმარება.

მკატერინოსლავის ერთს უფლებში მცხოვრებლებმა დადევს პირობა, რომ ყოველმა ასმა გლეხმა ერთი დღიურის ოდენა ტყე უნდა მოაშენოს და მებატონეს ყოველს ოცს დღიურზე ერთი ხე უნდა დარგოს უუქველათ. ხეებში ტყის მოდგმისა უნდა იყენენ; დარგვით კი, ს:ცა ვისაც უფრო მოეხერხება, იქ დარგავს.

**ჭია-ბუზა.**

იქნება ეს სახელი მკითხველს პირველ გაეგონოს და არ ეხერხებოდეს, მაგრამ ესეც წარმატების ბრალია. როგორც-ტყუა გონება, ისე ენაც წარმატებაშია; სწავლა მეცნიერობის შემოტანას ახალი სიტყვებიც შემოაქვს. ჩვენ ჭია-ბუზა დაუძახოთ იმ გვარ ცხოველებს, კვერცხიდან რომ გამოიჩეკება ჭია არის, შემდეგ კი ბუზათ იქცევა. ეს ჭია იკვებება სხვა და სხვა ბალახებით და ხეების ფოთლებით, ხრავს აგრეთვე იმათ ძირებსაც; ამასთანავე კანსაც რამდენჯერღვე გამოიცილის, ბოლოს გაიკეთებს პარკს სხვა და სხვა ნაირს და პარკიდან გამოვა ფრთებიანი ბუზი. მაგალითად აბრეშუმის ჭია. შოველ გვარი პებლებიც ამ ნაირათ იზრდებიან. ჩვენი შინაური ბუზი, რომელიც ზაფხულოდ მოსვენებას არ გვაძლევს, პებლას გვართ იზრდება; ყოველნაირი ბუზანკალი, კალია, რწყილი, ბაღლინჯო, ყველა ამ გვარის ცხოველები ერთ გვართ იზრდებიან ესე იგი კვერცხიდან გამოიჩეკებიან ჭიათ და ჭია როცა გაიზდება, მერე გადიქცევა ბუზათ; ამიტომაც ამ ცხოველებს ყველას ჭია-ბუზა დავარქვით.

\* \*

რომ შეხედო, იტყვი ჭია-ბუზასთანა პატა-

რა ცხოველი ცოტაა ქვეყანაზე; მაგრამ რასაც ეს პატარა ცხოველები ენებას აძლევენ კაცს. იმდენ ზარალს ვერც საილო და ვერც ლომი, ვერცარა სხვა ნადირი ვერ მისცემს კაცს. მინ არ იცის, რომ კლიას მოხელა სოფლებს ღვთის რისხვით მიაჩნიათ; ასი და ორასი დღიურის მიწებს ისე ასწმენდს, რომ ერთ მარცვალსაც ვეღარ იზოგნის ყანის პატრონი. მინ არ იცის, რა უბედურობას შეამთხვევს მებაღეს ბუზანკალის ჭია, რომელიც დაძვრება მიწაში და ხრავს ხეხილების ძირებსა; ხეხილი ხმება, მებაღე თავში იცემს და არ იცის კი საიდგან ეწია ეს ღვთის რისხვა.— იქიდგან, რომ წყეული ბუზანკალის-ჭიები ათასობით დაძვრებიან მიწაში და იკვებებიან ხეხილის ძირებით.

\* \*

შემდეგ ნომერში ჩვენ დაწერილებით მოუყვებით მკითხველს საზოგადოთ ჭია-ბუზას გვარი ცხოველები რა აგებულებისანი არიან, როგორ იზრდებიან და როგორ ცხოვრობენ. აქ მხოლოდ გვინდა წარმოუდგინოთ მკითხველს ერთი მანებელი ბუზანკალის სურათი და ვთქვათ რამდენიმე სიტყვა საზოგადოთ ბუზანკალებისა და იმათი ჭიების-გან ზარალის მიცემაზე.

\* \*

საშინელი დიდი ზარალის მომცემი ჭია-ბუზა არის ერთი ხარაბუა, რომელსაც ეტყვიან მისის ხარაბუას, ამიტომ რომ მისში ჩნდება ხოლმე ეს ჭია-ბუზა. მართი ამის მონათესავე ჭია-ბუზა აქ არის დახატული.

ბუზანკალი.



მჭვი არ არის, ჩვენ მხარეში ზოგჯერ დიდ-ზარალს უნდა შერებოდეს ეს ჭია-ბუზა; მაგრამ სამწუხაროთ ამისი არა ვიცით რა. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი ევროპელი სწავლულის სიტყვებით და იმისი გამოკვლევით ვუამბობთ მკითხველს, თუ რა საშინელს ზარალს აძლევს კაცს ოჯახობაში მისის ხარაბუა.

\* \*

შემოდგომიდან მისის ხარაბუა ღრმით ჩაფლულია მიწაში და სძინავს გაზაფხულამდის. როდესაც აპრილი დადგება. მყურრო და თბილ საღამოებში, მისის ხარაბუა ამოდრება მიწი-

დან დაფრინავს და გაუკითხვავთ ხრავს ფოთლებს ყოველ გვარი ხისა და ჯანჯარისან. ისინი მხოლოდ საღამოებით დაფრინავენ, დღისით ჩამოკიდებულნი არიან ტოტებზე, და განისვენებენ. ამ დროს იმათი მოგროვება ადვილია; ხე რომ დონივრად შეარხიო, სულ ერთიანათ ჩამოსცივიან. მამალი თოთხმეტი დღის მეტს არა სცხოვრობს და დედალი ერთ თვესა. ქველანი ერთად არ ამოდრებიან მიწიდან, ზოგი დღეს ამოვა, ზოგი—ხვალ, ზოგი—ზეგ, ასე რომ იმათი გამოჩენის წელს აპრილში და მისში გამოუვლევლათ არიან.

\* \*

განაყოფიერების შემდეგ დედალი ხარაბუა ქვიშიან ადგილას ერთი გოჯის სიღრმეზე ამოთხრის მიწას, ჩადებს შიგ ოცდა ათამდის კვერცხსა და მერე მოკვდება. შემდეგ ამ კვერცხებიდან გამოვლენ ყვითელ თაფიანი ჭიები, გძელ ფეხებიანი, მურიანი გაბერილი მუცელი აქეთ. პირველ წელიწადს ყველა ჭიები ერთად არიან და ერთად იკვებებიან, შემოდგომაზე იმავე წელს კანს გამოიცილიან და გაიფანტებიან მიწაში. მესამე წელიწადს ისინი სრულიად დამთავრდებიან. ამ დროდგან ძალიან ზარალს აძლევენ მეოჯახეს ეს ჭიები. ბოსტნეულობიდან დაწყებული დიდ ხეებამდის იმათ მაგარს ყბებს არა მოუტრეხიათ რა დაუხრავი. მესამე წლის ბოლოს ისინი იკეთებენ პარკს და ექვსი თვის შემდეგ გამოვლენ ხარაბუებათ. ასე რომ ყოველ მესამე წელიწადს გამოჩნდებიან ბევრი ხარაბუები დადებენ კვერცხებს და კვდებიან; სხვა დროს კი არსად სჩანან, რადგან იმათი კვერცხებიდან გამოსული ჭიები დაძვრებიან მიწაში და ახდენენ მცენარეობას.

\* \*

მართი გერმანიელი სწავლული შოხტი ამბობს, რომ ზოგიერთ წლებში უმრავლესის-გან უმრავლესნი ჩნდებიან ხოლმე ხარაბუებიო. ათას რევას ოცდა თორმეტ წელს საღამოს ცხრა საათზე შევიცარიაში ერთ ალაგას ექვს ცხენიან დილიქას ვეღარ გაველო იმათი შიშით და მგზავრებიანა უკან მობრუნდო, რადგან საშინელი ბზუილი გაჰქონდათ მისის ხარაბუებს და ცხენები ფთხებოდნენო. ათას რევას ორმოცდა ერთ წელს მაკონაში მდინარის სონის ხიდზე კაცი ვეღარ გადიოდა, ისე საარაკოთ ბევრი ხარაბუები ბზუოდენ იმ ალაგას. ამას იქით თვითონ წარმოიდგენს მკით-



ხელი, რა საშინელი ენება შეუძლია ამდენ ხარაბუას ბალებში, ველებზე და ტყეებში. შევიკარიაში ბერის კანტონში მთავრობის პირნი გამტერებულნი იყვნენ, არ იცოდნენ, რა მოცხერხებინათ ამდენ ხარაბუებისთვის. ბოლოს ეს განკარგულება მოახდინეს გაცეს ბძანება, რომ ერს საპალნეებით ეზიდნა ხარაბუები და მერე საქაჩავით ჭყლეტდნენ და სასუქად ხმარობდნენ ყანებში.

ჭიების გასაწყვეტათ ძლიან სასარგებლოა ხშირათ მინდვრების ღრმად დახენა, ამიტომ რომ ჭიები ხნულს ამოჰყვება ხოლმე და მაშინვე ფრინველები დაესევიან და სჭამენ ქვიფიანათ. ამას გარდა თხუნეელის (მულას) გაშენებაც ძალიან ეხმარება იმათ გაწყვეტას. თხუნელა (მულა) ჭიების მტეს არასა სჭამს მიწაში.

(შემდეგი იქნება).

საქმიანო ნაწილი

სახადი

იმის გაჩენის მიზეზი და იმისი წამლობა.

როცა ერთ სახლში ძალიან ბევრი სული ცხოვრობს, — ესეც გაჩენს სახადს (ხურეებას). ამ სახლში ჰაერი ხდება კაცების ამონასუნთქვით და ეს შეიქნება ხურეების მიზეზი, თუ ვინმე გახდა ავად იმითი. შესუფთაოთ ყოფნა, ან თუ რამე აწუხებს კაცს და იმისგამო სულ მოშვებულათ ცხოვრობს, ამასთან თუ მიწიდგან ადენილი ცუდი ოხშივარიც დაერთო, მაშინ ადვილათ გაჩნდება მანებელი ცხელება.

მიწრო საპრობილეში დამწყვედელი კაცი, სადაც სამყოფათ არ არის წმინდა ჰაერი, საცა კაცი ვერ მოძრაობს, ცოტა საქმელი ეძლევა და უსუფთაოთაც ცხოვრობს, იმას უეჭველათ სახადი დაემართება. მართი გაქცეული სალდათი დაეჭირათ და დაემწყვედათ ვიწრო კლდის ქვაბში. ეს იყო შრანციის სამხრეთით. ჰაერი მხოლოდ პატარა სარკლით შედიოდა ამ საპრობილეში. რამდენსამე ხანს შემდეგ ეს საწყალი სალდათი ხურეებით მოკვდა. მოთხმეტი სული, რომელიც სამოწყალოთ უვლიდნენ იმ გაჭირებულს, ყველანი ავად გახდნენ და იმათგან რვა მიიცვალა ხურეებით

\*\*\*

შინც ნიადაგ ცუდს ჰაერში ცხოვრობს, მაგალითად სატუსალოში, ის იმდენათ შეჩვე-

ვია ამ ცუდს ჰაერს, რომ თვითონ ავად არ ხდება, მაგრამ ახალი თუ ვინმე მიემატა, ის მაშინვე ავად გახდება. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვისაც ცუდს ჰაერში დიდხანს უცხოვრობია, იმისი ტანი და ტანისამოსი გაიტენება სენითა თვითონ ტანმთელათ არის, მაგრამ ვინც იმას მიეკარება, მაშინვე სახადით გახდება ავად.

\*\*\*

სახადის მორიდება

როცა ჰაობიანი (ვენჭყიანი) ალაგია, იქ კაცი დიდხანს არ უნდა გაჩერდეს, არც გარეთ დარჩეს ღამის გასათევათ, განსაკუთრებით წვიმის შემდეგ. მიწაზე არ უნდა დაწვეს კაცი, დილით ადრე უხმოთ არ უნდა გამოვიდეს კარში, ან თუ გამოვა, უეჭველად თან უნდა ჰქონდეს თამბაქო (თუთუნი), ან ციგარა.

\*\*\*

არის ერთნაირი ჰაეროვანი არსება, რომელსაც ჰქვია ქლორი; ეს სიტყვა ბერძნულია, ნიშნავს მწვანე ფერს; მართლაც ამ ჰაეროვანს არსებას მწვანე ფერი აქვს. ქლორი აქრობს იმ ცუდს სენს ჰაერში, რომელიც აჩენს სახადს, საოფლეს. მართი ანგლიელი მეცნიერი მგზავრი სახელად დევი სწერს ერთ კაცზე, რომელიც თან ახლდა ამ მეცნიერს მგზავრობაში და რომელსაც ზურგზე ეკრაო ერთი ბოთლი, საიდანაც ამოდიოდაო ცოტა-ცოტათ ქლორი, ვინიცის, რა ჰაობიან ადგილებში არ დადიოდა ეს კაცი, მაგრამ ფრხხილიც არ ასტკივებიაო; ამიტომ რომ ქლორი აქრობდაო ჰაერში გაერთელებულს სენსა. ჰაობიან ადგილებში ჰაერი თან-და-თან კეთდება ქალაქის გაშენებით და ჰაობების დაშრობით. მაგალითი თვალწინ გვაქვს: ამ ათის წლის წინათ შოთში ისეთი ჰაობიანი ადგილები იყო, რომ იქ კაცი ერთ დღესაც ვერ მოიცილიდა, რომ ციებ-ცხელებით ავად არ გამხდარიყო. ახლა ქალაქი დღითი-დღე ვრცელდება, ჰაობები ჰმრება და ჰაერიც თანდა-თან კეთდება; ვინც ცოტათ მაინც უფთხილდება თავს, ის მაინც ავად აღარ ჰხდება იქ.

\*\*\*

როდესაც ბევრი ერთათ ცხოვრობენ, მაშინ სახადის მორიდება.

მიწრო ადგილას ბევრი სახლების შენების

ნება არ უნდა მიეცეს ქალაქებში. სახლს წინ და უკან იმდენი კარიელი ალაგია უნდა ჰქონდეს დატოვებული, რომ ჰაერი მუდამ წმიდა იდგეს. ჭუჩები არ უნდა იყოს ისეთი ვიწრონი, როგორც ჩვენი თფილისის ზოგიერთი ქუჩები არიან. თფილისის ზოგიერთ უბანში ყოველწლობით არის ხოლმე სახადი და ბევრნიც კვდებიან. ამის მიზეზი ვიწრო ქუჩებია, საცა ყოველს უწმინდურებას ჰყრიან. იმითი ჰხდება ჰაერი და იმის გაწმენდაც შეუძლებელია, რადგანაც სახლები ერთი ერთმანეთზე მიყრილია და ქარი არა ჰხედება. აგრეთვე დიდი ყურის გდება უნდა, რომ მცხოვრებლების რიცხვი, რამდენიც დაეტევა, იმის მეტი არ ცხოვრობდეს სადგომებში; ერთ ოთახში არ უნდა ცხოვრობდეს რამდენიმე სახლობა.

როგორც ჩვენ თფილისშია, ზოგიერთი სადგომები მცხოვრებლებით გატენილია ხოლმე. სოფლათ ერთი გლეხის სადგომში კაცები და პირუტყვები ერთად არიან, სისუფთავე სულ არ არის, ჰაერი ხდება და წამხდარს ჰაერს გასაეალიც არ სად აქვს, რასაკვირველია ამისთანა ადგილას სახადი მუდამ ბუდობს. რამდენსაც დაიტევეს, იმაზე მეტი არასოდეს ერთ სახლში არ უნდა იყოს. დასაწოლ სადგომებს ფანჯრები უნდა ჰქონდეს. სამუშაო და დასაწოლი სადგომი უნდა იყოს ნათელი და ჰაერი არ უნდა იწყვედოდეს. ბინდი სხეულს ასუსტებს. სისხლს ამძიმებს და ტანს ასნეულებს. ამას გარდა ჰაერიც უფრო მალე ჰხდება დამეში.

\*\*\*

წყლით წამლობა ციებებიანი სახადი და განსაკუთრებით ხურეებიანი სახადის გამორჩენა.

მისაც სახადი უდგა ტანში, ჯერ ტანში საშინელი ჟრჟოლებით ციენება და ზმორებას დააწყებინებს. (პირველი დღე).

შემდეგ დღეებში ავადყოფისთვის სიცხის მომატება, შფოთვა ნაწლევების და კუჭის ტკივილი სრულიად ამტკიცებს, რომ ის ხურეებით არის ავად. ამ დღეებშივე ტყვი უჩნდება. ჰიდვე უფრო უნდა დამტკიცდეს კაცი ხურეებით ავადყოფობაზე, როცა ორი სამი დღე ყოველ დილით სიცხე აკლდება და სალამობით ექვს საათზე სიცხეს ძალიან უმატებს ხოლმე. თუ ამდროს დაუწყა კაცმა ცივი



წყლით წამლობა, ესე იგი ცივი წყლით დასველებული ტილოში გახვევა ავთმყოფისა, ან ენაში ბანება ისე რომ სიცხე კარგათ გამოართვას წყალმა, შემდეგ ავთმყოფი მობრუნდება, სიცხე თან-და-თან გამოწვევდება, თავის ტკივილი არა აქვს, გონება აღარ ეკარგება, ბნელა სრულიად აღარ მოსდის.

\* \*

თუ ოცდა ცხრამეტ გრადუსს \*) არ ასცილდა ტანში სიცხე, ბნელა არ დაემართება და თუ ცელსიუს ტერმომეტრით ორმოც გრადუსს ასცილდა, მაშინ კი დაემართება ხოლმე ბნელა.

ქუქისა და ნაწლევების ტკივილი სრულებით აღარ აქვთ. მხოლოდ ტუპის სიმსივნე კიდე დაურჩება ავთმყოფს. სასულეში და ფილტვში ანთება ცოტათ აქვს.

მანაში ბანების დროს სიცხე ყოველთვის უწვლდება და ცოტ-ცოტათ დაუბრუნდება. მათე მეთერთმეტე მეთორმეტე და სხვ. თუ-თხმეტამდის შოველ ბანების შემდეგ სიცხე უფრო ჩქარა და ბევრი დაუბრუნდება ხოლმე. მთხმეტე ღდის შემდეგ კი ავთმყოფობა იკლებს და ყოველ ბანების შემდეგ იმდენი აღარა ეძლევა სიცხე. მთმცა ტანის კანი ავთმყოფს ძალიან ცხელი აქვს და გაფიცებული; მაგრამ იმდენათ მაინც არა, კანი კიდე სამყოფათ რბილი აქვს.

\* \*

ამ წამლობის დროს ავთმყოფი არ შეფოთავს, თუ სწუხს იმისთვის სწუხს, რომ ხშირად აბანებენ ცივ წყალში. იმას შეუძლიან სიარული მთელს ავთმყოფობაში; მაგრამ თბილათ რომ იყოს და ლოგინში იწვეს, ის ურჩევნია. მადა კარგი აქვს ფერ-ხორცი იმდენათ არ აკლდება და რომ შეხედო ევრც კი შეატყობ ხურვებიანია თუ არა.

ცივებას ევრც კი შეატყობ, ისე უქრება და იმის გაელის შემდეგ ავთმყოფს შეუძლია წამოდგეს და მაროს კარგ ამინდში.

რაც თავისი დრო აქვს, იმაზე ადრე სახადისაგან მორჩენა, ან იმისი გაქრობა, თუ კაცს ტანში უდგას, შეუძლებელია. ამ ავთმყოფობას თავის დრო აქვს და ვიდრე იმ დროს არ შეასრულებს, იმისაგან მორჩენა

\*) ტერმომეტრი-ანუ სითბოს მზომავი ავეჯი იტან, თუ რა არის ჩვენმა მკითხველებმა და ამისთვის საჭიროთ აღარა ვრაცხთ იმის აწერას.

არ შეიძლება. მაგრამ წყლით წამლობა კიდე ამითია კარგი, რომ უფრო მალე რჩება ავთმყოფი, ვინამც სხვა ნაირი წამლობითა.

აი, ამისთანა სახე აქვს ხურვებას, თუ იმას წყლით გამოანელა ხოლმე კაცმა ცივებიანი სიცხე.

შემდეგ ნომერში დაწვრილებით აწვერთ, თუ როგორ უნდა წყლით წამლობა სახადიანისა.

მრთი გამოჩენილი უცხო ქვეყნის ექიმი ამბობს, რომელ (ყვანათი) ავთმყოფს უნდა აქამოთ ფქვილის ხარშო; წყალში უნდა აურიო ფქვილი და მოხრაკული ძროხის ქონი კარგათ უნდა ადუღო ცეცხლზე; ეს ხარშო, ექიმის სიტყვით ძალას არ დაატანს კუქსა და ადვილათა მოიხარშება; ამას გარდა ის ძალიან ნოყიერიც არის.—

### სოფიანობა.

ძალის ცოფი გადაეღბა კაცს მხოლოდ მაშინ, როდესაც დორბლი მოხვდება როგორმე სისხლში და გელი ჩადგება ტანში. მსგესლი არამც თუ მარტო ცოფიანის სისხლში დგას, არამედ ცოფიანის ხორციც კი არის მოწამლული. მაგრამ შეჰანიშნავი ეს არის, რომ ცოფიანი ძალის დორბლის ტიტველა ტანზე მოცხებით არა უჭირს რა, თუ ტანზე დაჭრილობა, ან განაფხაჭნი არა არის რა. ტანის კანში ვერაოდეს ვერ გაატანს ეს გესლი, რომ სისხლში ჩაეიდეს; და თუ სისხლს არ მოხვდა, ისე შეუძლებელია იმისგან გაცოფიანება. ცოფიანი ძალის კბენა პირდაპირ ტიტველა ხორცზე უფრო ძნელია, ვიდრე ტანისამოსიდგან კბილის გატანა ხორცში; ამიტომ, რომ დორბლი ტანისამოსს ეცხება და ხორცზე მოხვედრილს კბილს ძალისას შეიძლება აღარც კი ჰქონდეს დორბლი.

\* \*

ზოგი სწავლული ექიმი ამტკიცებს, რომ ცოფიანი ძალის ნაკბენით შეიძლება ოცი და ოცდა ათი წლის შემდეგ დაემართოსო კაცს ცოფი. სხვანი ამტკიცებენ, რომ კბენის შემდეგ მესამე ან მეოთხე დღეზედაც ბევრს გამოსჩენია ცოფიო. არც ერთი ამათგანი მართალი არ არის. ძალიან ხშირად ასე მოხდება: კბენის შემდეგ მეორმოცე დღეზე გამოჩნდება ხოლმე კაცს ცოფიანობა. ძვირათ

მოხდება, რომ ათ დღეზე ადრე დაემართოს კაცს ცოფი შემდეგ კბენისა; და კიდე უფრო ძვირი შემთხვევაა, რომ თერთმეტს თვეს გადასცილდებოდეს გაცოფიანება მას შემდეგ, რაც დაკბენილია.

\* \*

### წამლობა.

ცოფიანი ძალის ნაკბენი ალაგი უნთა ამოსჭრას კაცმა და მერე გახურებული რკინით, ან კაპეიკით უნდა დასწვას ეს იარა: ნაკბენის დაწვა შაბიამანით და ცხარე ამბიაკით (აფთი-აკში იკითხე) უფრო კარგია. როდესაც დამწვარი ადგილი მოვარდება, არ უნდა ეცადოს კაცი, რომ მალე მორჩეს, დაე, იარამ იდინოს, რაც ბევრს ხანს გაგრძელდება იარა, ისა სჯობია. რაც ადრე ამოსჭრიან და დასწვენ ნაკბენს ალაგს, ისა სჯობია. ძბენის შემდეგ ერთი, ან ორი კვირის განმავლობაში რომ დაიწვას ნაკბენი ალაგი, ისიც კარგია. შოველი ძალის ნაკბენი, თუ იქვი გაქვს იმ ძალის ცოფიანობაზე, უეჭველათ უნდა ამოსჭრა და შემდეგ დასწვა. ამისთანა ძალი არ უნდა მოკლა, არამედ უნდა დააბა და თვალ-ყური ადევნო, რა დაემართება: თუ ცოფიანია, რამდენსამე ხანს შემდეგ უეჭველათ გამოჩნდება.

### სამეურნეო ცნობანი.

უცხო ქვეყნებში მეოჯახეები, სხვა საკვებით შორის, სტაფილოსაც აჭმევენ შინაურ საქონელსა. მამოცდილი მეოჯახეები ამბობენ, რომ ეს საქმელი ძალიან უხდება პირუტყვს, განსაკუთრებით იმითი, რომ ანელდებინებს სხვა საქმელსა და ამიტომ ყველას ურჩევენ სტაფილოს ხმარებას საკვებათ; ცხენს მაინც თურმე ძალიან ასუქებს, მაგრამ მარტო სტაფილო კი არ უნდა მისცეთ; სხვა საკვები უნდა გაურიოთ ხოლმე და ისე უნდა აჭამოთ.—

სარდაფებში, მარნებში და სხვაგან ჭიების (ლოკოკინების) გასაწყვეტლათ, აი რანაირ საშუალებას ურჩევენ. ძირს პოლზე მარილი უნდა მოაყარო ცოტა და კედლები კი მარილიანი წყლით უნდა დაასველო კარგათ. საზოგადოთ ყველგან, საცა კი შეჭჩევიან ჭიები მარილი ძალიან მოუხდება თურმე; ის მალე გაწყვეტს იმათ. მს საშუალება მოუხერხებელი



ქნებოდა ჩვენში, რადგან მარლი გლეს-კაც  
ნათ არ უჯდება, მაგრამ, ამბობენ, რომ ქი-  
ების გასაწყვეტლათ პირუტყვის (ქვის) მარი-  
ლიც კარგათ გამოდგებაო. —

მთელს ირლანდიაში წელს თითქმის ხუ-  
თი მილიონი ცხვარი დაუთვლიათ. ამ  
უკანსკელ დროში მინც განსაკუთრებით  
მიუტყვევიათ ყურადღება ცხვრის მოშენებისა-  
თვის, რადგან ისინი იშვიათად ჰხდებიან ავთ  
სხვა და სხვა პირუტყვის ჭირითა, რომელიც  
უფრო მსხვილ, რქიან საქონელს ეტანება. ამ  
შემოდგომაზე ერთს იარმუკაზე გაიყიდა  
ირლანდიაში ასი ათასი ცხვარი, წინეთ კი  
სამოცი, ან ოთხმოცი ათასი გაიყიდებოდა.  
საუკეთესო, ლეინსტერის მოდგმის თითო  
ცხვარს ხუთმეტ თუმნათ და მეტა-  
თაც ჰყიდიდნენ.

რადროს უნდა პურს მომკა.

შოველმა მეოჯახემ კარგათ უნდა იცოდეს  
რა დროს შეიძლება და რადროს სჯობია  
პურის მომკა; თორემ ძალიან ადრე თუ მო-  
მკა, ან ძალიან გვიან, უეჭველია, იმას ზი-  
ანი მიეცემა. გამოცდილი და სწავლული მეო-  
ჯახეები ამბობენ, რომ ყველაზე უმჯობესია დრო.  
მაშინ არისო პურის მომკა, როცა ჩალა გა-  
ყვითლდება და თვითონ პურის კაკალიც  
იმდონათ დამწიფებულია, რომ ხელის მოჭე-  
რის დროს, იმას რძე არ გამოდინდებაო. მრ-  
თმან ანგლიელმა გამოსაცდელათ დათესა პუ-  
რი სამს დღიურზე; ყველა ერთნაირი მიწა  
იყო და ყველა ერთნაირად შეამუშავა; პირ-  
ველ დღიურზე იმან მომკა პური, როცა თავ-  
თავი ჯერ მწვანეები იყვნენ, მეორეზე, როცა  
ჩალას ფერი ეცვალა და მესამეზე, როცა პუ-  
რის კაკალი კარგათ იყო დამწიფებული. აღ-  
მოჩნდა, რომ ადრე მოკრეფილი პური, ესე  
იგი, როცა თავთავები ჯერ კიდევ მწვანეები  
იყვნენ, საუკეთესო დადგა და უფრო მომე-  
ტებულიც მოვიდა, ვიდრე გვიან მომკილი.  
ეს პური ძალიან ფაქიზი იყო და დატყვის  
შემდეგ ცოტა ნაკლები ქატო დარჩა. ამას  
გარდა ადრინათ პურის მომკა კიდევ იმიტომ  
სჯობია, რომ მაშინ პურს თავთავიდან კაკა-  
ლი არ დასცივია მომკის და ძნათ დაწყობის  
დროს და არც ძირებს გამოიღებს ძნ.ში ისე

ადვილათ როგორც ძალიან დამწიფებულმა  
პურმა იცის ხოლმე.

მართი სწავლული ამბობს: „დამწიფებამდი  
ორი კვირის წინეთ მოწეული პური ყოველ-  
თვის უფრო მომეტებული დადგება, ვიდრე  
სიმწიფის დროს მოკრეფილი, რადგან უფრო  
ნაზი კანი აქვსო და ამის გამო ნაკლებ ქა-  
ტოს დაიყენებს. ადრე მომკილი პურის ბზეც  
ყოველთვის სჯობია სინოციერით. რაც უფრო  
მწიფდება ხორბალი, ისე უფრო უსქელდება  
კანი და ჩალაც იკლებს.“

მეორე სწავლული მეოჯახე ამბობს: „ზო-  
გი ერთ წელიწადებში პური ძირიდგან იწყებს  
დამწიფებას, ასე რომ ჩალა მაშინ თითქმის  
გამხმარია და თვითონ პურის კაკალი კი, შე-  
იძლება, ამ დროს რძიანი იყოს, ე. ი. დაუმ-  
წიფარი; ამნაირ ყანას რო დახედოს კაცმა,  
გეგონება, რომ მომკის დრო მოსვლიაო, მა-  
გრამ, სანამ პურს რძე გამოდის, მანამ ის არ  
უნდა მომკას კაცმა; რასაკვირველია, ჩალა  
რო გახმება, მერე პური საზრდოს ვეღარ  
ამოიღებს საზრდოს, მაგრამ მზეში ყო-  
უნამაინც მოუხდება პურს და ამიტომ არ  
უნდა მომკათ. — ეს გარემოება გეიმტკიცებს,  
რომ პურს დამწიფება არ უნდა აცალო, მა-  
გრამ არც ძალიან ადრინათ მომკა მოუხდება.

რუსული ჯიშის საქონელი

რუსეთში ორი უმთავრესი საქონლის ჯი-  
შია. სამხრეთს რუსეთში უფრო რუხვი და  
წითელი ფერის საქონელია; ჩრდილოეთისკენ  
ჭრელი ფერისაა. იმათ შუ ადგილებზე ეს ორი  
ჯიშის საქონელი გადარეულია ერთმანეთში.

რუხვი ჯიშის საქონელი

ამ ჯიშის საქონელი საკვირვლათ დიდი  
იზრდება და მაგარი შეკრული ტანი აქვს,  
ბევრს იწონის. მაგარი და დიდი ზემოთ ახ-  
რილი რქები ეზრდება; ძალიან ლამაზი პატა-  
რა თავი აქვს, კისერი განიერი და მოკლე,  
განიერი მკერდი, მსხვილი მაგარი ფეხები და  
მალღებული ჩლიქები. მკერდი კისერი და  
ფეხები მართლაც ძალიან კარგათ ნაზარდი  
აქვს ამ ჯიშის საქონელს და იმიტომაც უფ-  
რო ძვირათ ღირს, რადგან ამისთანა აგებუ-  
ლების საქონელი მეტად ღონიერია და ჯაფის  
ამტანი მუშაობაში. ძარგი საუღლე ხარი ამ  
ნიშნებით იცნობა.

\*  
\*\*

ამისთანა კარგი საქონელი არც ისე ადვი-  
ლათ საპოვნია, როგორც მკითხველს ეგო-  
ნება. სამხრეთის რუსეთში ამისთანა ჯიშის  
გასამრავლებლათ ცდილან რამდენიმე საუკუნე  
და ათასი წელიც. იქაური სოფლის ხალხი  
მუდამ არჩედა ღონიერს კისრიანს, განიერ  
მკერდიანს და მაგარ ფეხებიანს ბულასა და  
მხოლოდ ამისთანა ბულით და ფურითაშენე-  
ბდა თავის შინაურს საქონელს. ამიტომაც გა-  
მოსულა იქ ასე კარგი ჯიში რუხვი საქონ-  
ლისა.

\*  
\*\*

მძელ ფეხებიანს და გძელ კისრიანს ხარს  
ადვილათ უხდება კისერი უღლით; მაღალი  
ხარები ბევრს ვერ წაიღებენ და ჯაფის ატა-  
ნაც არ შეუძლიანთ. მიწრო მკერდიანი საქო-  
ნელი მალე იღალემა და თუ კარგა ხანს იმუ-  
შავა, ქლოშინი აუტყდება ხოლმე; იმიტომაც  
მუშაობაში ვერ ადგება კაცს. ზანიერ ჩლიქე-  
ბიანი საქონელი სიარულში იწევა და მალე  
იღალემა ხოლმე. ამისთანა საქონელს ყოვე-  
ლი მიწის მომუშავე და ჯოგის პატრონი ემ-  
ტრება და ცდილობს თავის ჯოგში არ გაუ-  
რიოს; თვითონ სარგებლობა აფიქრებინებდა  
ხოლმე იმათ გაწყვეტას, რადგან ზემოხსენე-  
ბული ნიშნის საქონელი მიწის სამუშაოდ  
არ ვარგოდა და არცარაინ იყიდა ამისთა-  
ნა პირუტყვისა. ამ სახით მუდამ კარგი ნიშნის  
საქონლის შენებით საუკუნეიდგან საუკუნომდე  
კეთდებოდა და ბოლოს დამდგარა ამისთანა  
კარგი ჯიშის ხარები, როგორც რუხვი საქო-  
ნელია სამხრეთის რუსეთში.

\*  
\*\*

რუხვი საქონლის ჯიშს გაეა წამწვეტებუ-  
აქვს და ტუჩზე გადაუყვება ხოლმე თეთრი  
ბაღის რგოლი. ეს ნიშანი ისეთი მკვიდრია,  
რომ ამ ჯიშის საქონელი სხვა საქონელს  
რომ დართო, მთელს შთამომავლობაში არ  
იკარგება ეს თეთრი რგოლი. რუსეთის ყველა  
რუხვი ჯიშის საქონელს ლამაზი და დიდი  
გადმოკრკლული თვალები აქვს, ცოტათ  
ფრთხება. შდელში ჩქარა დადის და ღონიე-  
რად ეწევა. ამ ჯიშის ხარები დღეში ორმო-  
ცდა ათს ვერს გაივლიან ხოლმე და ისე ჩქა-  
რა დადიან, რომ კაცი ძლივს ერეკება. არამც  
თუ ხარები, ძროხებიც თითქმის ისე დაუღლე-  
ლად და ღონიერად მუშაობენ. სამი უღელი  
ხარი ამ ჯიშის საქონლისა დღეში დახნავს  
ორ დღიურს მძიმე ყამირს მიწას, იმისთანა



გუთნით, რომელიც ჩვენ გუთანზე კიდევ უფრო მიძიმე სატარებელია. თუ მშრალი გზაა, ერთი უღელი წაიღებს ოთხას ფუთსა.

\* \*

ლონიერ მუშაობის გარდა ს.მხრეთელ რუსეთის პირუტყვის ჯიში ხორცილად მოსაწონია. ისე რომ შეხედო, იფიქრებ ეს პირუტყვი მქლეთ არისო, მაგრამ შიგნით ძალიან ბევრი ქონი ამოსდის. ძალიან ადვილათ და ჩქარაც სუქდება ამ ჯიშის პირუტყვი. ზაფხულს მინდორში ასუქებენ და ზამთრით მიჰყავთ ოტკის სახდელ ქარხანებში, საცა თხლეს აჭმევენ და ნაღერდს (ქატოს). ზაფხულობით ფულიანი მეჯოგე იყიდის ხოლმე თითო-ოროლათ სოფლებში ბებერს საქონელსა და ხბორებს, რომელნიც ს.ხარეთ არ გამოდგებიან, აგრეთვე ბერწ ძროხებსა იაფათ, როცა კარგათ ბლომათ მოუფროვეს თავს ჯოგსა, იქირავებს მინდვრებს მარიაშობის პევემდის:— წყლიან მინდვრებს ორ დღიურს სამსამ მანეთად და უწყლო მინდვრებს ზოგს ერთ მანეთად და ზოგს ორ მანეთად. მერე გაგზავნის სატახტო ქალაქებში პეტერბურღს და მოსკოვს საკლავათ.

\* \*

აგრეთვე ბოზათი (დამალი ჰური) ასუქებს პირუტყვს ვაჭარი ხალხი, თვითონ პირუტყვის პატრონები და სოფლელი გლეხები. პირუტყვს ბევრს ბოზას აჭმევენ; რაც არაყის ნახალიდგან დარჩება, პირუტყვისთვის ინახვენ; ამას გარდა აძლევენ ბზესაც. ამ დროს პირუტყვი მინდორზეა გაშვებული.

ყველა სამხრეთელ რუსეთის ჯიშის საქონელი გვიან იზრდება და დიდხანს ძლებს. საცა კარგათ უფლიან ჯოგს, იქ ხუთი წლისაზე უფრო ემაწილოს ბუღას არ მიუშვებენ ფურზე. არც ხუთ წელიწადზე ადრე გახედნიან. მაგრამ თექვსმეტ—თერამეტის წლის ხარს შეხედავ, ისეთ—ლონიერათ ერეკება ურემში, რომ გგონია შეიდი რვა წლისა არისო.

მრთი შესანიშნავი თვისება ჰქირს კიდევ რუხვი მოდგმის საქონელს. წითელის ჯიშის საქონელზე ბევრათ უფრო ადვილათ იხდიან ქირსა. რუხვი ჯიშის საქონელს ძველათ შეხედება ქირი და თუ შეხედა, ბევრი კიდევ გადაურჩება ხოლმე ამ საშინელს ავამყოფობას. როგორც ყვავილს აუჭრიან ხოლმე, ისე რუსეთში ქირსაუჭრიან ხოლმე რუხვს

პირუტყვს და ადვილათაც იხდის; ქირ აჭრილს საქონელს არაოდეს აღარ ემართება ხოლმე ქირი. წითელი ჯიშის საქონელი ან სხვა ფერი სრულებით ვერ იხდის ქირსა და რამდენსაც არ აუჭრეს, ყველა დაიხოცა.

\* \*

პარგი მეწველი ვერ არის რუხვი ჯიშის ძროხები, მაგრამ ამის მიზეზი უფრო მოვლას; ამას გარდა სამხრეთის რუსეთში ურემში სულ ხარებს ხმარობენ და გამეტადინებული არიან, როგორმე კარგი ტანშთლი და ხორციანი ხბორები იყვენენ, რადგან კარგი ხბოსაგან, ხარიც კარგი გამოდის. ამისთვის ხბორებს არ აშორებენ ფურებსა, ნახივარს რძეს სულ ხბო ართმევენ; რასაკვირველია, რომ ძროხა ბევრს ველარ მოიწველის. ამას გარდა საქონლის ჯოგები სულ მინდვრათ ჰყავთ; რომელიც კარგი საბალახეა, იქაც ხომ არ გაუშვებენ, იმ ადგილას სათივეთ ინახვენ ხოლმე; ჯოგს უფრო უქმს მინდვრებზე აძრებენ, ბალახი ბლომათ არა აქვთ და ამის გამო რძეც არ უდგებათ ბევრი. რძე უფრო კარგი მოვლით და კარგი ჰმევეთ ეძლევა ძროხას. პარგათ რომ შეინახონ, უეჭველათ რუხვი ჯიშის ძროხასაც ბევრი რძე ჩაუდგება ძუძუებში.

\* \*

სასხლავი ხერხი.

ახალი შოგონებული ხერხი, რომლითაც სხლავენ ძალიან ძალა—ხეებს კიბის უხმარებლათ და ზედ გაუსვლელად.

ჩვენში არც კი იციან რა არის ხეების გასხელა. შაზის გასხელა კი გამოგონია და ხეებისა არაო, იტყვის მკითხველი. მე უნდა ვკითხო, რათა სხლავენ ეზსა.—ამისთვის რომ მომეტებულმა ვაზის ღეროებმა, ბევრი ლერწები არ გამოსცეს, რადგან ბევრს ლერწებს ბევრი საზრდოც უნდება და თუ მიწიდან ამოდებული წვენი ამ ლერწების საზრდოთ მოხმარდა, მაშინ ტვენის გასაკეთებლათ აღარა დარჩებარა—და ვაზი ველარ მოიხმამს. მაშევენახს იმისთვის სხლავენ, რომ მიწიდან ამოდებული წვენი მარტო ტვენების გამოსადებლათ მოხმარდეს და არა სხვა ღერების საზრდელათ.

\* \*

ამავე ანგარიშით უნდა გასხელა ხეილსაც,

ამიტომ რომ რაც უფრო ცოტა ტოტები დაურჩება ხესა, ისე უფრო ბევრი წვენი გადარჩება ნაყოფის მოსაბმელათ და ნაყოფიც უფრო კარგი გაიზრდება. ჩვენი ბაღის ხეილებს რომ სხლავდენ, უკეთესს და ბევრს ხილს მოსცემს. ხეების გასხელა იციან ნოემბერში და დეკემბერში. შანათლებულ ქვეყნებში არამც თუ ხეილის ხეს, უბრალო ხეებსაც სხლავენ, ანუ კაფვენ, რადგან იციან, რომ ამითი ხეს ძალიან მალე ეზრდება ტანი. მაგრამ აქამდის სჭრიდენ ტოტებს უბრალო ხერხით და ამის გამო ხეზე თუ არ გავიდოდენ ისე ვერ გასხლავდენ. ახლა ერთმა სწავლულმა მოიგონა ისეთი ხერხი, რომ მებღალს შეუძლიან რაგინდ მალალი ხე იყოს, ძირიდან შეუდგეს და ისე გასხლას.

\* \*


შანათლებულს ქვეყნებში ხის გაწმენდა გამხმარი ტოტებისაგან დიდი ხანია საჭიროთ დაუნახათ, რადგან შემდეგ მეტი არ შეიძლება ისე სწორათ ეზრდება ტანი ხეს და ძირი უმსხვილდება კიდევ. თუ არ გაიხსნა, უმისოთ შენობაში სახმარი ტყე კარგათ ვერ იზრდება. აგრეთვე გამხმარი ტოტების მოჭრა ხეილისათვის მიუცილებელთ საჭიროა.

\* \*

თუმცა ყველამ იცოდა, რომ ტყის გაწმენდა ძალიან სასარგებლო იყო, მაგრამ აქამდის ისეთი ბევრი წვალება და ხარჯისჭირდობა, რომ ძვირათ სხლავდა ვინმე ტყესა, ისიც იმისთანა ტყესა, რომელიც ძალიან მოხერხებული იყო გასასხლავათ.

\* \*

ეს ახალი ხერხი იმითია კარგი, რომ ექვს საჯენ სიმაღლეზე ხეს ამითი ძირიდან გასხლავს კაცი. ამის გამო ეს ხერხი არამც თუ ტყეში, ბაღებშიაც იხმარება გამხმარი ტოტების მოსახერხავათ. ხერხის ტართან მიუკეთებენ გძელს კეტსა (საჭეს) სხვა და სხვა ზომისას: საჭე არის ექვს ნაირი ერთი არის ერთი საჯენი სიგძე, მეორე ორი საჯენი, მესამე სამი საჯენი და სხვა ექვს საჯენამდის. როცა უნდათ ერთი საჯენი სიმაღლის ხის გასხლა, მაშინ ტართან გაუკეთებენ ერთ საჯენის სიგძე ტარსა. და როცა ექვს საჯენი ხის გასხლავუნდა, ექვს საჯენიან საჭეს, ან ტარს გაუკეთებენ ბურლით. თვითონ საჭეები და ხერხი ტყის მკაფავს, ან გამსხლეელს ზურგზე ჰკი-



და. ეს გძელი ტარები, ან საჭეები გაკეთებულია ფიჭვის ხისაგან, ისე რომ სრულებით მძიმე არ არიან.

\* \*

ამ ხერხის ფასი.

პირველი ნომერი თავის ბუდიანა და სამი რკინის ხერხიანათ ღირს ათ მანეთათ ადგილზე. მეორე ნომერი სიგძით ნახევარი არშინია სამი ხერხი თავის ბუდიანა — ადგილზე თორმეტ მანეთად ღირს; გაგზავნით სხვა ქალაქებში ღირს თორმეტ მანეთად. თუ ორნივე გვარი ხერხის ყიდვა უნდათ ერთად, გაგზავნით და თავის მოწყობილობით ღირს ოცდა ხუთი მანეთი.

მართი ღუჭინი ხერხის პირები, ან თორმეტი ხერხის პირი ღირს ხუთ მანეთად.

მისაც ამისთანა ხერხის დაბარება ჰსურს, ფული და მოთხოვნა ამ სიტყვებით გაგზავნოს:

(Въ Петербургъ по Малой Морской, на углу Кирпичнаго переулка, въ домѣ Брунста, № 4).

ხოლო თუ ჰსურთ, „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის სახელზე გამოგზავნონ ფულები და რედაქცია თავს იღებს იმისთანა ხერხების დაბარებას.

უცხო ქვეყნების აგზაბი.

თითქმის ყველა ქვეყნებზე უკეთესი მეურნეობა და ოჯახობა ანგლიაში და ბელგიაში არის; განსაკუთრებით ბელგიაში მეურნეობისთვის ძალიან დიდი ყურადღება მიუქცევიათ იქაურ მცხოვრებლებს. მთელი ეს ქვეყანა ამუშავებულია: ზოგი მიწები სახნავ-სათესათ არის გადაქცეული, ზოგი ბაღებათ, ზოგი საბაღახოებათ. ერთი უბრალო ღარიბი მეოჯახე არ მოინახება იქ, რომ სახნავ-სათესი და სამკალი მაშინები არა ჰქონდესთ. ბელგიელებს ვაჭრობა ძალიან უყვართ მაგრამ მეურნეობა ვაჭრობაზე კიდევ უფრო, მომეტებულათ უყვართ და აპიტრამაც ეს ქვეყანა ძალიან მდიდარია და იქაური მცხოვრებლები ჩვენზე უფრო მდიდრათ და გაუჭირვებლათ ცხოვრებენ. —

\* \*

მართი მეოჯახე—მწერალი ამბობს, რომ, თუმც ანგლიაში მეურნეობა ძალიან არისო წინწაწეული მაგრამ სისრულეს ჯერ კიდევ

ბევრი აკლია. აი, როგორ ჰსჯის ეს მეოჯახე: ჩვენი (ესე იგი ანგლიის) მეურნეობა რომ ვერ არის ჯერ სისრულეში მოყვანილი, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ყოველ წელიწადს ანგლიაში შემოაქვთ უცხო ქვეყნებიდან სამას ხუთმეტი მილიონის პური. ჩვენ უსაფუძვლოთ ვრაცხთ სამზღვარს გარეთ ნაკეთები სხვა და სხვა ხვლთ ნასაქმარევი ნივთების ყიდვასა, ამიტომ რომ ჩვენც შეგვიძლია ჩვენში ამ ნივთების გაკეთება. რატომ იმასაც არ ვსცდილობთ, რომ ჩვენი სამყოფი პური ჩვენშივე მოვიწიოთ და უბრალოთ არ ვასარგებლოთ სხვები ჩვენი ფულებითა? ზოგიერთები ამბობენ, რომ ჩვენი მთელი ანგლიის სამყოფი პური არ მოვაო; ეს აზრი სრულიათ უსაფუძვლოა: ის ფულები რაც უცხო ქვეყნის პურის ყიდვაში გაგდის, ჩვენშივე რო მოვიხმაროთ და დაუმუშავებელი და ცუდათ დამუშავებული მიწები კარგათ დავამუშავოთ ნაკელითა და მოვრწყოთ, მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, იმდენი პური მოვა ჩვენში, რომ ნახევარიც არ მოგვიდება. —

\* \*

შემდეგ ეს მწერალი ამბობს, რომ მეურნეობის რიგიანათ წაყვანისთვის ხალხში სწავლის და განათლების გავრცელება არისო საჭირო. იმის აზრით, სანამ ხალხს არ ეცოდინება წერა-კითხვა, მოხელეობა და სანამ ბუნების მოვლინებაებს არ შეისწავლის, მანამ ვერასოდეს ვერ წავა კარგათ მეურნეობის საქმე და არც კეთილდღეობა დამკვიდრდება ანგლიაში; რაც გვჭირდება, ჩვენ იმაზე მომატებული ნამუშევარი უნდა მოვიყვანოთო; მხოლოთ მაშინ მოისპობაო ჩვენში სიღარიბე და ყოველი ანგლიელიც იპოვისო მაშინ სამუშაოს და ამასთან ლუკმა პურსაცა.

ნამუშევრის მოწვევის გარდა, ყოველმა მეოჯახემ იმის კარგათ გასაღებაც უნდა იცოდეს. მეურნეობა ვაჭრობა არის: ყოველი მეოჯახე უნდა სცდილობდეს—რაც შეიძლება იაფათ მოიწიოს რომელიმე ნამუშევარი და რაც შეიძლება დიდი სარგებლით გაჰყიდოს. —

კერძოობითი განსხადება.

განსვენებულმან მეფის რძალმა მღენე მთარის ასულმან ანდერძის წერილით უანდერძა მაინოსრო თეთრადის მემკვიდრეთა:

სამოცდა ათი თუმანი თერთი ფული. მაინოსრო თეთრადის ჰყენდა ცოლი მლისაგან, ჩაი შვილი მიხაილ. მიხაილი მსახურებდა ტამოყნაში, ტამოყნიდამ გამოვიდა, მრევანს წავიდა და იქ მოკვდა და დარჩა ერთი ქალი და ცოლი. უფ. დ. ჩუბინოვი, რადგანაც არს რწმუნებული პირი მეფის რძლისაგან ფულის დარიგებაში, სთხოვს, მაინოსრო თეთრადის მემკვიდრეთა, წარმოადგინონ საბუთის წერილი, რომ ისინი სწორეთ მემკვიდრენი არიან თეთრადისა და მიიღებენ სამოცდა ათ თუმანს თეთრს.—ადრესი უფ. ჩუბინოვისა იპოვება თბილისში, ქართულის გაზეთის „დროების“ რედაქციაში.

ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ მ რ ე ვ ა ნ შ ი და ჯ უ ლ ფ ი ს ა კ ე ნ . — ს ა მ უ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ო ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი და შ ე მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ უ ჟ ი ფ ო ჩ ტ ა . — ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი, მ თ თ ა ის შ ი — შ ო თ ა მ დ ნ , მ რ ე ვ ა ნ შ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო პ ო ლ შ ი და ნ ო ვ ო ბ ა ი ა ზ ე თ შ ი . — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი . — პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მ თ თ ა ის შ ი, მ ა ხ ე თ შ ი და მ რ ე ვ ა ნ შ ი . შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და შ ე მ ა ხ ა შ ი . — ძ ე ი რ ა ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი და მ თ თ ა ის შ ი .

ტელეგრაფი.

დევნის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: მთათისში, ბაქოს, მლადიკავკასს, მრპირს, შოთს, მრევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, მერჩში, მოსკოვს და მდესას—2 მან.—ზორს, სილნალს—50 კაპ.—პეტერბურღს, შენეეას, სტამბოლს—3 მან.—პარიფს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

გიბლიოგრაფიული განსხადებაები.

ხალის მოწერა 1870 წელსა.


„კავკაზი“

პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი.

შეიცავს შემდეგ განყოფილებებს:

I. მფიციალური ნაწილი. II. პრა ოფიციალური ნაწილი: შესანიშნავი თბილისის ამ-

1/17



ბები, ცნობები საზოგადო ცხოვრებაზე, შესანიშნავი პროცესები, რომელნიც ნაწარმოები იქნებოდა აქაურს სასამართლოებში, სხვა და სხვა შენიშვნები და სხ. III ქორეესპონდენტები ქავეასიის სხვა და სხვა ადგილებიდან, აგრეთვე იმის მომიჯნავე სპარსეთის და ოსმალეთის მარებიდან. IV ტელეგრამები. V შინაგანი ცნობები. VI პოლიტიკური ცნობები. VII მტროგრაფიული, ეკონომიური, გეოგრაფიული და ისტორიული სტატიები ქავეასზე. VIII ბიბლიოგრაფია: კრიტიკული გარჩევა იმ თხზულებების, რომელნიც ქავეასს შეეხებოდა, შენიშვნები და ბიბლიოგრაფიული ცნობები. IX საეჭრო ცნობები. X სხვა და სხვა ამბები: მოკლე ცნობები შესანიშნავს მოვლინებაებზე მეცნიერებაში და რუსეთის და შეროპის ცხოვრებაში. XI სახაზინო განცხადებები: იჯარით აღებაზე, მამულების გაყიდვაზე და სხვ. XII ქერძობითი განცხადებები.

ზაზეთი „ქავეასი“ მომავალ წელში გამოვა, როგორც უწინ, კვირაში სამჯერ: კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. აქაური ვაჭრების საცნობელათ ყოველ №-ში იქნება დაბეჭდილი ტელეგრამები პარიჟის და ლონდონის ბირჟებზე კურსების მდგომარეობაზე. რედაქციაში მოგროვდა ბევრი საბეჭდი მასალა და ამის გამო იმას აქვს სახეში ხანდისხან, ერთი ფურცლის ნაცელად, გამოსცეს ფურცელნახევარი № „ქავეასისა.“

**გაზეთის ფასი:** შან მიტანით და გაგზავნით წელიწადში—12 მან. 50 კაპ., ნახევარწელიწადში—6 მან. 50 კაპ., სამი თვის—3 მან. 50 კაპ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს **დროუზა გამომგზავნონ ფულები და კარგათ დაწერილი აღმსახები.** ხელის-მოწერა შეიძლება: თბილისში, გაზ. „ქავეასის“ რედაქციაში და ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში. მოსკოვში-წიგნის ვაჭარს ქლაჩკოვთან.—

ი ბ ე ჯ დ ე ბ ა და ამ მოკლე ხანში გამოვა

**„სინოკტიკური კალენდარი“**

1870 წლისა.

შედგენილი რაფ. ისარლიშვილისაგან.

**გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა .**

„ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი ს “ გ ა მ ო ც ე მ ა ვ ა ზ

1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები იჯახო ცხოველ-მცენარებისა.

**ხ ე ლ ო მ ს ა წ ე რ ი ფ ა ს ი :**

გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელთა სამი მანეთი

სასოფლო სასამართლოებისათვის თფილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელთ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაფათობით.

**ხ ე ლ ი მ ო ი წ ე რ ე ბ ა .**

თფილისში „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ აღრესით; **Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова.** ი რედაქტორი და გამომცემელი **გ. წერეთელი.**

**გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა**

გ ა ზ ე თ ი ს „**დ რ ო უ ბ ი ს**“ გ ა მ ო ც ე მ ა ვ ა ზ

1870 წელსა.

მომავალს 1870 წელს „დროუბა“ გამოვა იმავე პროგრამითა: როგორც ამ წელს დაბეჭდილ წლებში გამოდიოდა.—


**ხ ე ლ - მ ო ს ა წ ე რ ი ფ ა ს ი :**

	ზაუგზავნელათ.		ზაგზავნელათ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
პრთის წლისა თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში	6	„	7	„
ნახევარის წლისა.	3	50	4	„
სამის თვისა	2	„	2	„
პრთის თვისა	„	75	1	„

**ხ ე ლ ი ს ო მ წ ე რ ა :**

შეიძლება თბილისში „დროუბის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ აღრესით დაიბარონ გაზეთი. **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и**



1/1